

## კაზუსი

### (იმიტირებული პროცესისათვის)

1. შპს „დეკო“ საქართველოში რეგისტრირებული და მოქმედი კომპანიაა. იგი 2007 წლიდან ეწევა სამეწარმეო საქმიანობას სავაჭრო ნიშნით „ღმურძ ლ'ობა“.
2. შპს „დეკოს“ კაპიტალში 50% წილი ეკუთვნის საქართველოსა და საფრანგეთის ორმაგ მოქალაქეს, ბესო მოპასანს (დაბადების თარიღი: 1971 წელი). გამზრდელი ბებია ანაბელ მიეფერაშვილი ბესოს პატარაობისას ზემო იმერეთში, სოფელ ცხრუკვეთში, თხელცომიან და ყველუხვ ხაჭაპურებს უცხოობდა ხოლმე და ალერსით „ღუტუნია, ღმურძლა ბიჭს“ ეძახდა. სწორედ ბესოს ინიციატივით, ბებიას და ფრანგული ენის სიყვარულით, დაარქვეს მან და მისმა პარტნიორთმა შპს „დეკოს“ პირველ რესტორანს „ღმურძ ლ'ობა“. რამდენიმე წელია ბესო მოპასანი საფრანგეთის რეზიდენტი და ყოველწლიურად საქართველოში საშუალოდ 2-3 კვირას ატარებს.
3. შპს „დეკოს“ კაპიტალში დარჩენილი 50% წილი ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეს თია რიჰოთიას (დაბადების თარიღი: 1970 წელი). თია რიჰოთია და ბესო მოპასანი დამეგობრდნენ ბავშვობაში, პიონერთა ბანაკ „ჟოსტკაია რუკა“-ში (ურალის მთების რეგიონი), სადაც თია რიჰოთიამ არაერთგზის იხსნა ბესო თანატოლების ბულინგისაგან. რიჰოთია და მოპასანი, განსხვავებული პროფესიული ინტერესების მიუხედავად, ახლო მეგობრებად დარჩნენ და ბევრ დროს ატარებდნენ ერთად ახალგაზრდობაში. თითოეულმა წარმატებული კარიერა აიწყო, თიამ - ფინანსებისა და საბუღალტრო საქმის მიმართულებით, ბესომ კი - ფრანგულ ენასა და ლიტერატურაში.
4. შპს „დეკოს“ დირექტორად დაფუძნების დღიდან რეგისტრირებულია თია რიჰოთიას ბავშვობის მეგობარი, მისი შუათანა შვილის ნათლია, დინერა მორჩილაძე (დაბადებული 1982 წელს). საწარმოს წესდების მიხედვით დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება საწარმოს პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით ხდება.
5. მოპასანი და რიჰოთია, ორივე გურმანი იყო, თუმცა განსხვავებული გემოვნების. კომპანიის დაფუძნების დღიდან განსხვავებული ხედვით ცდილობდნენ კომპანიის განვითარებას. მოპასანს სურდა სამზარეულო ყოფილიყო მეტად თანამედროვე, ექსპერიმენტალური და ფიუჟენ მიმართულების გამტარებელი. რიჰოთია კი პირველივე მენიუს დაკომპლექტებას დიდი ბებიას რეცეპტების წიგნიდან ეცადა. პარტნიორებმა ვერ მოახერხეს ხედვების შეჯერება, მიუხედავად ამისა შპს „დეკომ“ პირველი რესტორანი მაინც გახსნა და ამისათვის საჭირო ხარჯები სრულად დაფარა მოპასანმა (დაახლოებით 140,000 ლარი). საპირწონედ თია რიჰოთია დაპირდა ბესოს, რომ იგი უსასყიდლოდ გაუწევდა კომპანიას საბუღალტრო მომსახურებას და ასევე მაქსიმალურად ჩაერთვებოდა კომპანიის მართვასა და განვითარებაში.

6. 2008 წელს ბესო მოპასანმა ორი მილიონი ევრო მოიგო ფრანს ლოტოში და საბოლოოდ გადაწყვიტა საქართველოში მისი საქმიანობა მინიმუმამდე დაეყვანა და მთლიანად კონცენტრირებულიყო მისი და მისი ოჯახის წევრების ცხოვრებასა და კარიერაზე საფრანგეთში. საფრანგეთში საცხოვრებლად გადასვლის გამოსამშვიდობებელ სალამოზე თიამ ბესოს თბილისი - პარიზის რეისის ერთი ცალმხრივი ბილეთი აჩუქა და დაამშვიდა: - დარდი ნუ გექნება „ღმურმ ლ'ობაზე“, მე და დინერა ყველაფერს მივხედავთ და თუ რამე მოგება დაწერა ამ კომპანიამ ორივე თანაბრად ვიხეირებთო.
7. წლების განმავლობაში საფრანგეთში მცხოვრები ბესო მოპასანი ენდობოდა თავის ზეპირსიტყვიერად მოწოდებულ ინფორმაციას თია რიპოთიასა და საზოგადოების დირექტორ დინერა მორჩილაძესაგან, რომ საზოგადოებას მოგება არ გააჩნდა. შესაბამისად, პარტნიორებზე დივიდენდი არ გაიცემოდა. თიას მიერ ბესოსთვის ელექტრონული ფოსტით რეგულარულად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, შპს „დეკოს“ ყოველთვიური შემოსავალი 3 000 – 4 000 ლარს შორის მერყეობდა, რითაც საზოგადოების ყოველთვიური ვალდებულებები ძლივს იფარებოდა.
8. საქართველოში მოკლევადიანი, დაუგეგმავი ვიზიტის ფარგლებში (2018 წლის იანვრის თვეში) ბესო მოპასანი შემთხვევით შეხვდა თბილისის აეროპორტში ერთ-ერთ ნაცნობს. საუბრისას ბესომ აღნიშნა, რომ 15 წლიანი ტანჯვის შემდეგ როგორც იქნა მოიწესრიგა კუჭ-ნაწლავის სისტემასთან დაკავშირებული პრობლემები და ამჯერად საქართველოში ვიზიტის მთავარი მიზეზი სწორედ გასტრონომიული ინტერესის დაკმაყოფილება იყო. ნაცნობმა, რომელმაც არაფერი იცოდა მოპასანის შპს „დეკოსთან“ კავშირის შესახებ, რეკომენდაცია გაუწია „ღმურმ ლ'ობას“, როგორც ერთ-ერთ გამორჩეულ, ხელმისაწვდომ და სტაბილურად პოპულარულ საკვებ დაწესებულებას თბილისში.
9. ნაცნობთან აეროპორტში საუბრის შემდეგ ბესომ გადაწყვიტა გადაემოწმებინა ეს ფაქტი და აპლიკაცია „FF“-ის (flying fork - მიტანის სერვისი) გამოყენებით ოთხჯერ შეუკვეთა სხვადასხვა კერძი „ღმურმ ლ'ობადან“. თითოეულ ჯერზე გამოკითხა მიმტანს „ღმურმ ლ'ობას“ პოპულარობისა და რეიტინგის შესახებ. ოთხივე მიმტანმა უთხრა ბესოს, რომ „ღმურმ ლ'ობა“ ბოლო რამდენიმე წელია „FF“-ის გამოძახების რეიტინგში პირველ ათეულში შედის და მომხმარებელი ყოველთვის მაღალ შეფასებას აკეთებდა ამ საკვებ ობიექტზე.
10. 2018 წლის 31 იანვარს მოპასანმა დაიქირავა კომპანია “KFC” (Knowledgeable Forensics Company - დამოუკიდებელი საექსპერტო ბიურო რომელიც კავკასიის რეგიონში ძალიან მაღალი პროფესიონალიზმითა და სანდო რეპუტაციით სარგებლობს). KFC-ს დაევალა შეუმჩნეველი მონიტორინგი ეწარმოებინა „ღმურმ ლ'ობა“ რესტორანში 1-10 თებერვლის განმავლობაში და დაედგინა 5%-იანი დასაშვები ცდომილების ფარგლებში, მოცემული პერიოდში გენერირებული შემოსავლის ოდენობა ლარში დღგ-ს ჩათვლით. 15 თებერვალს გაცემული დასკვნის საფუძველზე KF დაადგინა, რომ 1-10 თებერვლის პერიოდში ადგილზე და ონლაინ შეკვეთების საფუძველზე „ღმურმ ლ'ობამ“ მიიღო დაახლოებით (4.67%-იანი ცდომილებით) 30 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

11. 2018 წლის 1 მარტს ბესომ მოითხოვა შპს „დეკოსაგან“ წერილობითი ინფორმაცია 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 1 მარტამდე პერიოდში, ყოველთვიურად მიღებული შემოსავლების შესახებ, განდეტალებული ონლაინ შეკვეთებისა და ადგილზე, სარესტორნო ფართში, ნავაჭრის მიხედვით.
12. ბესო მოპასანმა მეორე დღესვე მიიღო თია რიპოთიასა და დინერა მორჩილაძეს ხელმოწერილი ოფიციალური წერილობითი პასუხი, რომ საბუღალტრო დოკუმენტაციის მიხედვით ნაჩვენები ყოველთვიური შემოსავალი ბოლო ერთი წლის განმავლობაში 4 000 ლარს არ აღემატებოდა. ამავე წერილში მითითებული იყო, რომ დირექტორის ყოველთვიური ხელფასი 2 500 ლარს შეადგენდა, და კომპანიას, ასევე დაქირავებული ჰყავდა საადვოკატო ბიურო „MOB“ (McFail & Okhriashvili Bureau), რომელსაც მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე, ყოველთვიურად, 1 000 ლარს უხდიდა.
13. MOB საადვოკატო ბიუროს 100%-იანი დამფუძნებელი და დირექტორი, დინერა მორჩილაძის მამიდაშვილი, მელინდა ოხრიაშვილი იყო. სწორედ მელინდა ოხრიაშვილის რჩევით გაფორმდა შპს „დეკოსა“ და დინერა მორჩილაძეს შორის წერილობითი ხელშეკრულება, რომლის ტექსტში ყველგან ერთდროულად არის მოხსენებული ფრაზები „შრომითი ურთიერთობა / მომსახურება“ და „ხელფასი / მომსახურების საზღაური“, და რომელიც მოქმედებს დინერას დირექტორად დანიშვნის დღიდან. იმავე ხელშეკრულების ტექსტში მითითებულია, რომ დინერა მორჩილაძე, როგორც საზოგადოების დირექტორი უნდა მოქმედებდეს პარტნიორების ინტერესების გათვალისწინებით და ასრულებდეს მათ ყველა მითითებას.
14. 2018 წლის მარტის დასაწყისში შპს „დეკოს“ სტუმრობის დროს, ბესო მოპასანს შეხვდა თავისი ბავშვობის მეგობარი ბარბი სკვიტაშვილი, რომელმაც მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ შპს „დეკოს“ დირექტორმა, დინერა მორჩილაძემ არ მიიღო მისი ბიზნეს წინადადება ძველ რეცეპტებზე დაყრდნობით საკონდიტრო პროდუქციის წარმოების თაობაზე. მისივე განმარტებით, დინერა მორჩილაძე მას შეხვდა და უთხრა, რომ აღნიშნულ რესტორანში საკონდიტრო ნაწარმის შემოტანა არ სურდა, თუმცა, მისივე მითითებით, ბარბი სკვიტაშვილი ვინმე გიული კაიკაციშვილს შეხვდა (შემდეგ აღმოაჩინა, რომ იგი დინერა მორჩილაძის ქმარი იყო), რომელიც აღნიშნული პროექტით დაინტერესდა. საბოლოოდ, კაიკაციშვილმა ისე ააწყო მითითებული ბიზნესი, რომ სულ რამდენიმე თვეში საკონდიტრო მაღაზიათა ხუთეულში შევიდა ხოლო 2018 წლის იანვარში აიღო სახელმწიფო ჯილდო სტარტაპერი კომპანიებისათვის. ოფიციალურ საიტზე [sachmeli.gov.ge](http://sachmeli.gov.ge) გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით კაიკაციშვილის აღნიშნულ კომპანიას 2017 წელს 137 000 ლარის წმინდა მოგება ჰქონდა გენერირებული.
15. 2018 წლის 28 მარტს ბესო მოპასანი, ღამის საათებში რესტორნის სტუმრების დარბაზიდან შეუმჩნევლად შევიდა შპს „დეკოს“ ოფისში, და დაიწყო დამატებითი მტკიცებულებების მოძიება არსებული ეჭვების გასამყარებლად. ძიების პროცესში ბესო მიადგა დინერა მორჩილაძის სამუშაო მაგიდას, ვიქტორინოქსის კომპლექტით (რომელიც სულ თან დაჰქონდა) გააღო გასაღებით დაკეტილი ქვედა უჯრა და იპოვნა 2014 წლის ივნისის თვის აღრიცხვის ქვითრები. აღრიცხვის

ქვითრებზე ასახული იყო კლიენტთან მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავალი და კერძების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც ხდება კლიენტთან ანგარიშსწორება და საკონტროლო სალარო აპარატის ჩეკის გაცემა. წარმოდგენილი შიდა აღრიცხვის ქვითრები დანომრილი იყო და თითოეულ მათგანზე დაფიქსირებული იყო თარიღი, კერძის (სასმელის) დასახელება, რაოდენობა, ფასი, ჯამური მონაცემები, მიმტანის სახელი, დირექტორის და ადმინისტრატორის ხელმოწერები. თუმცა, აღნიშნული აღრიცხვის ქვითრების შესაბამისი მონაცემები აღრიცხული არ იყო ბუღალტრულ რეგისტრებში და ასახული არ იყო საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილ ანგარიშებში, კერძოდ, შპს „დეკოს“ მიერ 2008 წლის მაისის თვეში აღრიცხული პირველადი დოკუმენტების (260 აღრიცხვის ქვითარი) მიხედვით, მიღებულმა შემოსავალმა დღგ-ის ჩათვლით 4 013 ლარი შეადგინა, მაშინ, როცა დამატებით წარმოდგენილი 2008 წლის მაისის თვით დათარიღებული 1050 ცალი აღრიცხვის ქვითრის მიხედვით მიღებული შემოსავალი (დღგ-ის ჩათვლით) 86 890 ლარი იყო. შესაბამისად, 2008 წლის მაისის თვის რეალური შემოსავალი დღგ-ის ჩათვლით 4 013+86 890=90 903 ლარს შეადგენდა. საგულისხმოა, რომ როდესაც აღნიშნული ინფორმაცია ბესო მოპასანმა თავის პარტნიორ თია რიპოთიას მიაწოდა და დინერა მორჩილადის სასწრაფოდ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა. თია რიპოთიამ დინერა მორჩილადის მხარი დაიჭირა და განმარტა, რომ იგი დინერას ძალიან ენდობოდა და ყველა მისი ქმედება მასთან შეთანხმებული იყო. სამკვირიანი მოლაპარაკებების უშედეგოდ ჩავლის შემდეგ მოპასანი დაბრუნდა საფრანგეთში.

**16. 2018 წლის 25 მაისს ბესო მოპასანმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა:**

- a. შპს „დეკოსათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო თია რიპოთიასა და დინერა მორჩილადის მიმართ. მოსარჩელე ითხოვს თია რიპოთიასა და დინერა მორჩილადისათვის შპს „დეკოსათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას 2008 წლის მაისიდან 2018 წლის მაისამდე. მოსარჩელის გაანგარიშებით, აღნიშნული ზიანი 2 727 090 ლარს შეადგენდა. ზიანის აღნიშნული ოდენობის გაანგარიშების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი იყო შემდეგი, კერძოდ, ვინაიდან 2008 წლის მაისის თვეში კომპანიისათვის დამალული შემოსავალი სააღრიცხვო ბარათების მიხედვით 90 903 ლარი იყო, ამიტომ დაშვებულ უნდა იქნეს პრეზუმფცია, რომ აღნიშნული ოდენობით შემოსავალი შპს „დეკოს“ ყოველ თვე ჰქონდა, რაც შპს „დეკოს“ ბუღალტერიაში არ ტარდებოდა და შესაბამისად, შემოსავლის დაფარვა ხორციელდებოდა. იგივეს ადასტურებდა KFC-ს დასკვნაც. 10 წლის განმავლობაში აღნიშნული თანხის ჯამი 10 908 360 ლარი იყო, თუმცა, ვინაიდან შემოსავლის დათვლა არაპირდაპირი დათვლის გზით (პრეზუმფციით) ხორციელდება, ამიტომ მითითებულ თანხას უნდა გამოკლებოდა პრეზუმირებული ხარჯი, შემოსავლის 75%. საბოლოო ჯამში, წმინდა მოგება, რასაც კომპანია სადავო 10 წლის განმავლობაში მიიღებდა, 2 727 090 ლარი იყო.
- b. შპს „დეკოსათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. აღნიშნული

სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო დინერა მორჩილადის წინააღმდეგ, რომელმაც კომპანიას კომერციული შანსი დააკარგვინა და მოგება, რომელიც შპს „დეკოს“ შეეძლო მიეღო, დინერა მორჩილადის ქმრის კომპანიამ მიიღო. აღნიშნული მოგება შპს „დეკოს“ დანაკლისს წარმოადგენდა. შესაბამისად, დინერა მორჩილადეს შპს „დეკოს“ სასარგებლოდ 137 000 ლარი უნდა დაკისრებოდა.

- c. **ბესო მოპასანის, როგორც პარტნიორისათვის, მიყენებული ზიანის ანაზღაურება.** აღნიშნული სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო თია რიჰოთიასა და დინერა მორჩილადის წინააღმდეგ. მოსარჩელე ბესო მოპასანის განმარტებით, ვინაიდან შპს „დეკოს“ ოფიციალურად ნაჩვენები შემოსავალი ყოველთვიურად 4 000 ლარს არ აღემატებოდა, დირექტორის 2 500 ლარიანი ხელფასი და საადვოკატო ბიუროსათვის ყოველთვიურად გადახდილი 1 000 ლარი, თავისი არსით, ფარულ დივიდენდს წარმოადგენდა. შესაბამისად, მას, როგორც პარტნიორს, აღნიშნული დივიდენდის 50% ეკუთვნოდა, რაც მას არ მიუღია. ამიტომ, იგი მისთვის უშუალოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და 210 000 ლარის დინერა მორჩილადისა და თია რიჰოთიასათვის სოლიდარულად დაკისრებას ითხოვდა.
- d. **დინერა მორჩილადის, როგორც დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა და სასამართლოს შერჩევით შპს „დეკოსათვის“ ახალი დირექტორის დანიშვნა.**

**17. თია რიჰოთიას მიერ შესაგებლით სადავოდაა გამხდარი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

- a. სასარჩელო მოთხოვნები ხანდაზმულია, რადგან, აღმოჩენილი აღრიცხვის ქვითრები 2008 წლის მაისის თვის მდგომარეობას ასახავს, ხოლო სარჩელი 2018 წლის მაისშია აღძრული. 2018 წლის KFC-ს დაკვანა მხოლოდ 10 დღესთან (1-10 თებერვალი) დაკავშირებით შეიძლება იქნას განხილული და გამოყენებული და მის საფუძველზე ეჭვქვეშ ვერ დადგება წინა პერიოდში მიღებული შემოსავლების სინამდვილე. აგრეთვე, ეს დასკვნა არ აბათილებს და 2018 წლის მარტში ბესოსთვის გაგზავნილი ოფიციალური ანგარიშის სანდოობას, 2017 წლის 1 მარტიდან 2018 წლის 1 მარტამდე პერიოდში კომპანიის ყოველთვიური შემოსავლების შესახებ.
- b. აღრიცხვის ქვითრები არ წარმოადგენს ისეთ პირველად დოკუმენტს, რომელიც კომპანიის შემოსავალს ადასტურებს. აღნიშნული ქვითრები დადასტურებულ უნდა იქნეს სალაროს აპარატით. სხვა შემთხვევაში, არ წარმოადგენს ისეთ მტკიცებულებას, რომელსაც შეიძლება სასამართლო დაეყრდნოს.
- c. აღრიცხვის ქვითრები მოპოვებულ იქნა ფარულად. შესაბამისად, აღნიშნულ ქვითრებს სასამართლო სამართალწარმოების პროცესში მტკიცებითი ძალა ვერ მიენიჭება.

- d. პრეზუმფციებით მატერიალური ზიანი არ ითვლება. კომპანიის შემოსავალი, რომელიც თუნდაც კომპანიისათვის დამალული ყოფილიყო, არ წარმოადგენს კომპანიისათვის მიყენებულ ზიანს, რადგან კომპანიას გააჩნია ხარჯები, რომლებიც რიგ შემთხვევაში, შეიძლება შემოსავალს აჭარბებდეს.
- e. სასამართლოს არ შეუძლია სამეწარმო სუბიექტის დირექტორის გათავისუფლება. დირექტორისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მიერ.
- f. საკონდიტრო პროდუქციის წარმოების შეთავაზება არ იყო მიზანშეწონილი, რადგან დინერა მორჩილადის გამოცდილებით (10 წელია კომპანიას მართავს) საკონდიტრო ბიზნესი მომგებიანი არ არის.
- g. საადვოკატი ბიუროს დაქირავება გამოწვეული იყო იმით, რომ პარტნიორებს შორის მუდამ დამაბული მდგომარეობა იყო და საჭიროების შემთხვევაში, ბიუროს მყისიერი სამართლებრივი რეაგირება უნდა მოეხდინა კომპანიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე.

18. დინერა მორჩილადის შესაგებელი მხოლოდ იმ გარემოებას ეყრდნობოდა, რომ იგი თია რიჰოთიას მითითებით მოქმედებდა. დინერას მტკიცებით იგი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დაქირავებული მუშაკი იყო და პარტნიორის ბრძანებებს ასრულებდა.

**კაზუსის ფარგლებში საკვლევი და განსახილველი საკითხების ჩამონათვალი:**

1. ხანდაზმულობა;
2. უჯრის გატეხვის შედეგად მტკიცებულების მოპოვების მართლზომიერება და მტკიცებულების დასაშვებობა;
3. მტკიცებულების შეფასების სტანდარტი;
4. დერივაციული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობა საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მიხედვით;
5. დირექტორისა და პარტნიორის სოლიდარული პასუხისმგებლობა;
6. პარტნიორის პასუხისმგებლობა საკუთარი ქონებით კომპანიის სასარგებლოდ;
7. დირექტორის ერთგულების მოვალეობა და კომერციული შანსის თეორია;
8. დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სახე და შეწყვეტის წესი;
9. დირექტორის პასუხისმგებლობა;
10. სამოქალაქო ზიანის არსი;
11. ფარული დივიდენდი;